# ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის გასვლითი სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 29 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს, პირველი გასვლითი სხდომა ტარდებოდა. შეგნებულად იქნა შერჩეული საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული, რადგანაც მუნიციპალიტეტის მერი ამ სოფლიდან იყო და დღეს წარმოადგენდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ, მოსახლეობას ექნებოდა საშუალება კითხვებით მიემართათ მერისთვის არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ მცირეოდენი შესავლის შემდგომ, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

*დღის წესრიგი:*

1. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებით იქონების სარგებლობის უფლებით (თხოვებისფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

9. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლიელბის შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

10. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: დ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის ერთიანი დასკვნა

წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2, მე-4 და მე-5 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1251-რს ორგანული კანონით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებების პროექტები, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სახელწოდების ცვლილებას, კერძოდ: „მერია" - ნაცვლად „გამგეობისა" და „მერი" - ნაცვლად „გამგებლისა". ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით კომისიის მიერ წარმოდგენილია დადგენილებების პროექტები: 1. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"; 2. „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"; 3. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"; 4. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მათი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)**

2. „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: დ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N27 ოქმს თან ერთვის)**

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**დ. ბერაია** - გამომსვლელმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ადგილსამყოფელის შეცვლასთან დაკავშირებით სამსახურის დებულებაში შედის ცვლილება, რომლის საფუძველზეც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N28 ოქმს თან ერთვის)**

4. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: დ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N29 ოქმს თან ერთვის)**

5. „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: დ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N30 ოქმს თან ერთვის)**

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექციის მოთხოვნა ქ. ხობში, სპორტის ქ. N6-ში მდებარე სპორტული მოედნის კლუბისთვის გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 2015 წლიდან დამატებითი ქონების სახით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 454,4 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის მდგომარეობით მისი ნარჩენი ღირებულება შეადგენს 430,5 ათას ლარს. მერიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტი) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც ზემო აღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის წესით, არსებობის ვადით გადაეცემა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ

„კოლხეთს“. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც შეტანილ იქნა გარკვეული სტილისტური შესწორებები, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)**

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება 6000 გრძივი მეტრი საკანალიზაციო ქსელი, მისი საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენს 88932 ლარს, ასევე მუნიციპალიტეტს ერიცხება ასენიზაციის მანქანა „გაზ 53-19“ მარკის, რომლის ნარჩენი საბალანსო

ღირებულება შეადგენს 2900 ლარს. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“ საქმიანობის განხორციელებისთვის თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცეს ზემო აღნიშნული საკანალიზაციო ქსელი და ასენიზაციის მანქანა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის მომსახურეობის მიზნით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც შეტანილ იქნა გარკვეული სტილისტური შესწორებები, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)**

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით მერიაში შევიდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის წერილი, სადაც ცენტრის დირექტორი განმარტავს, რომ კულტურის სახლში სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ცენტრის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სამუსიკო სკოლა და გაზეთ „ხობის მოამბის" სრული შემადგენლობა გადმოყვანილ იქნეს კულტურის სახლის შენობაში და შესაბამისად ითხოვენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N16 განკარგულებაში „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ცვლილების შეტანას და კულტურის ცენტრისთვის უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონების, მდებარე ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N114 -ში (ს/კ 45.21.23.14) სამუსიკო სკოლისთვის და ქ. ხობში, სტალინის ქ. N3-ში „ხობის მოამბის" რედაქციის (ს/კ 45.21.03.041.01.500) გადაცემული შენობების ამოღებას და უსასყიდლო უზუფრუქტის შესახებ ხელშეკულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც შეტანილ იქნა გარკვეული სტილისტური შესწორებები, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)**

9. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**მოისმინეს: დ. ბერაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1251-რს ორგანული კანონით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც დადგენილებაში შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სახელწოდებები, კერძოდ: „მერია“ - ნაცვლად „გამგეობისა“ და „მერი“ - ნაცვლად „გამგებლისა“. ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების შესაბამისად საკრებულოს მიერ 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებით დამტკიცდა კომისიის შემადგენლობა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილება ხორციელდება კომისიის შემადგენლობაში მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი ნუგზარ შუშანია გამოყვანილ იქნა კომისიის შემადგენლობიდან და მის ნაცვლად კომისიაში შეყვანილ იქნა დავით ბერაია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი კომისიის შემადგენლობა, მერიასთან შეთანხმებით რჩება უცვლელი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილია მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, ბიუროს წევრების მხრიდან იყო მოსაზრება, რომელსაც თვითონაც ეთანხმება, რომ ხობის საპატიო მოქალაქეობის და ცოტნე დადიანის ჯილდოს მინიჭების პროცესს უფრო გულისყურით და პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ. მისი განმარტებით უფრო უპრიანი იქნებოდა საკითხის სახალხო განხილვა განხორციელებულიყო და ამის შემდგომ მინიჭებოდა საპატიო მოქალაქეობაც და ცოტნე დადიანის ჯილდოც.

მცირეოდენი განმარტების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა,

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, ი. ნადარაია, კ. ლატარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)**

10. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სანამ ანგარიშით წარსდგებოდა მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წევრების და მოსახლეობის წინაშე, თხოვნით მიმართა ვიდეო ოპერატორს ეკრანზე ეჩვენებინათ 2013-2018 წლებში ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ამსახველი ვიდეოკოლაჟი.

ვიდეოკოლაჟის დასრულების შემდგომ საკრებულოს წევრების და მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარსდგა მუნიციპალიტეტის მერი გ. ქაჯაია

**მოისმინეს: გ. ქაჯაია** - მომხსენებელი მიესალმა სხდომის თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აქვს პატივი წარსდგეს მათ წინაშე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით და ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

**არადამაკმაყოფილებელი – 0**

**დამაკმაყოფილებელი – 0**

**დადებითი – 30**

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. ნასარაია)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, მოსახლეობასთან გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის დასრულების შემდგომ მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მხარდაჭერისთვის

დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, გასვლითი სხდომის მიზანი იყო, მოსახლეობა უშუალოდ გაცნობოდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 2017 წელს განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს, დაგეგმილია ანალოგიური გასვლითი სხდომები ჩატარდეს ზონალური პრინციპით მთელს მუნიციპალიტეტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის29 ივნისის გასვლით სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. თეა გელანტია
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. თენგიზ აბაკელია
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. ნიკოლოზ ვეკუა
12. შადიმან ჭილაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. გიგა ნასარაია
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. ირაკლი ნადარაია
29. რამინ ხილაძე
30. მერაბ ნადარაია
31. ფრიდონ შონია